

შემოსავლების სამსახურის განმარტება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 112-ე მუხლზე

მუხლი 112. ძირითად საშუალებათა მიხედვით საამორტიზაციო ანარიცხების სრულად გამოქვითვა

1. ძირითადი საშუალებების მიმართ, გარდა საწარმოს კაპიტალში შეტანილისა, გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, სრულად გამოქვითოს ამ აქტივების ღირებულება იმ საგადასახადო წელს, როდესაც ძირითადი საშუალებები ექსპლუატაციაში შევიდა.

ანალიზი:

საგადასახადო კანონმდებლობით, გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს ძირითად საშუალებათა (მათ შორის, უსასყიდლოდ (ჩუქებით) და სხვა ანალოგიური ფორმით მიღებული აქტივების) მიმართ (გარდა კაპიტალში შენატანისა) გამოიყენოს ცვეთის 100%-იანი ნორმა და აღნიშნული ხარჯი გამოქვითოს იმ საგადასახადო წელს, როდესაც ძირითადი საშუალებები ექსპლუატაციაში შევიდა.

1000 ლარამდე ღირებულების ძირითადი საშუალებების მიმართ არ ვრცელდება კაპიტალში შენატანის კუთხით არსებული შეზღუდვა. შესაბამისად, 1000 ლარამდე ღირებულების ძირითადი საშუალებები (მათ შორის, კაპიტალში შენატანი) მთლიანად გამოიქვითება ერთობლივი შემოსავლებიდან იმ საანგარიშო წელს, როდესაც ექსპლუატაციაში გადაეცემა.

(იხ.სიტუაციური სახელმძღვანელო № 0246)

(იხ.სიტუაციური სახელმძღვანელო № 0247)

2. ძირითადი საშუალებების ღირებულების სრულად გამოქვითვის უფლების გამოყენების შემთხვევაში გადასახადის გადამხდელი ვალდებულია იგივე მეთოდი გამოიყენოს ყველა შემდგომი შესყიდული (წარმოებული) ძირითადი საშუალების მიმართ.

ფაქტობრივი გარემოება (მაგალითი №22) :

2012 წელს საწარმომ აირჩია ძირითადი საშუალების სრულად გამოქვითვის მეთოდი. ამავე წელს საწარმომ შეიძინა ლუდის ჩამოსასხმელი ხაზი 100 000 ლარად, აღნიშნული ძირითადი საშუალება ექსპლუატაციაში შევიდა 2013 წლის იანვარში.

შედეგი:

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების არსებობისას:

გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს შესყიდული 100 000 ლარის ძირითადი საშუალება არ შეიტანოს ჯგუფის ღირებულებით ბალანსში და იგი მთლიანად გამოქვითოს 2013 წლის ერთობლივი შემოსავლიდან. ამ პირობის გამოყენების შემთხვევაში გადამხდელი ვალდებულია მოცემული მეთოდი გამოიყენოს ამ პერიოდის შემდგომ წარმოებული ან შეძენილი ყველა ძირითადი საშუალების მიმართ.

3. ძირითადი საშუალებების ღირებულების სრულად გამოქვითვის შემთხვევაში :

ა) აღნიშნული ძირითადი საშუალებები არ შეიტანება ამ კოდექსის 111-ე მუხლით გათვალისწინებული ჯგუფის ღირებულებით ბალანსში;

ბ) შემდგომში ასეთი აქტივების მიწოდებისას მიღებული ან / და მისაღები თანხები, ხოლო ასეთის არარსებობისას – საბაზრო ღირებულება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე ექვემდებარება ერთობლივ შემოსავალში ჩართვას.

ფაქტობრივი გარემოება (მაგალითი №23) :

21-ე მაგალითის პირობა იგივეა, იმ განსხვავებით, რომ საწარმომ ლუდის ჩამოსასხმელი ხაზი 2014 წელს გაყიდა 150 000 ლარად დღგ-ის გარეშე.

შედეგი:



აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების არსებობისას:

საწარმომ ძირითადი საშუალების მიწოდებით მიღებული ან მისაღები შემოსავალი 150 000 ლარი სრულად უნდა ჩართოს 2014 წლის ერთობლივ შემოსავალში.

4. ძირითადი საშუალებების ღირებულების სრულად გამოქვითვის შემთხვევაში გადასახადის გადამხდელს უფლება არ აქვს, არჩეული გამოქვითვის ნორმა შეცვალოს 5 წლის განმავლობაში. ამასთანავე, გამოქვითვის ასეთი ნორმის არჩევა უნდა მოხდეს იმ საგადასახადო წელს, როდესაც ძირითადი საშუალებები ექსპლუატაციაში შევიდა.

ფაქტობრივი გარემოება (მაგალითი №24) :

22-ე მაგალითის პირობა იგივეა, იმ განსხვავებით, რომ საწარმომ 2014 წელს მიღებული ძირითადი საშუალებების ნაწილი (გარდა კაპიტალში შეტანილისა) ექსპლუატაციაში შესვლისთანავე სრულად გამოქვითა, ხოლო ნაწილს დაარიცხა ამორტიზაცია სსკ-ის 111-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით.

შედეგი:

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების არსებობისას:

საწარმოს ქმედება არამართლზომიერია, რადგან მას არ აქვს უფლება ძირითადი საშუალებების სრულად გამოქვითვის არჩეული ნორმა შეცვალოს 5 წლის განმავლობაში. შესაბამისად, ექსპლუატაციაში შესვლისთანავე საწარმოს შეძენილი ძირითადი საშუალებების ღირებულება სრულად უნდა გამოექვითა ერთობლივი შემოსავლიდან.

ანალიზი:

ცალკეულ შემთხვევები, მიღებული ძირითადი საშუალებები ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებამდე საჭიროებს რეკონსტრუქციას, ფუნქციონალური დანიშნულების შეცვლას და ა. შ. ასეთ შემთხვევაში 100%-იანი გამოქვითვის უფლება გადამხდელს წარმოეშობა იმ საგადასახადო წელს, როდესაც აქტივი ხელმისაწვდომი იქნება ექსპლუატაციისათვის, ანუ დაიწყება ეკონომიკური საქმიანობისათვის მისი გამოყენება.

ფაქტობრივი გარემოება (მაგალითი №25) :

ბანკმა 2012 წელს 100 000 ლარად საოფისედ შეიძინა ფართი, რომელშიც ფუნქციონირებდა სასადილო. ბანკმა შეცვალა ობიექტის საქმიანობის პროფილი და მასში მომდევნო 2013 წელს გახსნა რეგიონალური ოფისი. აღნიშნული მიზნით საწარმომ დამატებით 2012 წელს 30 000 ლარი დახარჯა. საწარმო ძირითადი საშუალებების ამორტიზაციის (გამოქვითვების) 100%-იანი ნორმის გამოყენების წესს იყენებს.

შედეგი:

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების არსებობისას:

საწარმო 2012 წელს ერთობლივი შემოსავლიდან ვერ გამოქვითავს ვერც უძრავი ქონების შეძენის (100000 ლარი) და ვერც რეკონსტრუქციასთან დაკავშირებულ ხარჯებს (30000 ლარი). ამასთან, აღნიშნული თანხა მთლიანად გამოიქვითება 2013 წლის ერთობლივი შემოსავლიდან.

5. ძირითადი საშუალებების ღირებულების სრულად გამოქვითვის უფლება არ ვრცელდება ისეთ ძირითად საშუალებებზე, რომლებიც არ ექვემდებარება ამორტიზაციას.

(იხ.სიტუაციური სახელმძღვანელო № 0224)

